№ 276 დეკემბერი 31, შაბათი 1888 დეკემბერი 31, შაბათი № 276

# ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888 1877—1888

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორ შაური.

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

**ქუთაისში:** ეარლამ ქიქაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

კვირას, 1 იანვარს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**ხანუმა**

კომ. 4 მოქ. ა. ცაგარლისა.

ხანუმას როლს ითამაშებს ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა.

II

დაჩაგრული უმანკოება

ვოდ. 1 მოქმედ.

**მოთამაშენი:** ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა და სხვ.; ბ-ნნი ყიფიანი, აწყურელი, გამყრელიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 7 1/2 საათზე.

**Вышла изъ печати и поступила въ продажу**

въ Центральной книжной торговлѣ и въ газетномъ агентствѣ кн Бебутова и К° перепечатанная изъ XI-го тома „Актовъ кавказской археологической комиссіи“ книжка

**„ТЕАТРЪ ВЪ ТИФЛИСѢ СЪ 1845—1856 ГОДЪ“**

in 8°, 213 ст. Чистый доходъ съ изданія предназначенъ на усиленіе средствъ заведенія св. Нины. Цѣна 1 р. с; на веленевой бумагѣ 1 р. 50 к. с.; въ переплетѣ изъ англійскаго коленкора на 50 к. дороже; за пересылку иногороднымъ прилагается 25 к. (5—2)

ტფილისი, 30 დეკემბერი

დღეს ჩვენა ვბეჭდავთ ერთის სოფლის მასწავლებლის წერილს, რომელიც ეხება სახალხო წიგნთსაკითხავების გამართვას. ავტორი აღიარებს, რომ სოფლის ყმაწვილი, სასოფლო სკოლის დამთავრების შემდეგ, უმეტეს ნაწილად ივიწყებს ნასწავლს, რის გამოც სოფლელები ეჭვით უყურებენ საზოგადოდ სკოლასაო. ამ საგანზე რამდენჯერმე ყოფილა ლაპარაკი ჩვენს გაზეთში და მეტი არ იქნება კიდევ ერთხელ გავმართოთ საუბარი ამ სავალალო საგნის შესახებ. მართლაც, განა სამწუხარო არ არის, რომ სოფლის ყმაწვილი, რომელიც რამდენსამე წელიწადს ანდომებს სწავლას, ორიოდე წლის განმავლობაში ზოგჯერ წერა-კითხვასაც-კი ივიწყებს და ამ სახით შესაფერი ნაყოფი არ მოაქვს არც სკოლასა და არც ხარჯს, რომელსაც სოფლის საზოგადოება ეწევა სკოლის გასაძღოლად! დღემდე ეს სამწუხარო გარემოება უყურადღებოდ იყო მიგდებული და კიდევ კარგი, რომ ამ საგანს მწერლობა მაინც შეეხო რამდენჯერმე. რაც დრო მიდის, ხსენებული საჩივარი უფრო ხშირად გვესმის საზოგადოებაში და ეს კარგი ნიშანია. რამდენადაც სამწუხაროა ამ წერილში აღნიშნული საგანი, იმდენად სასიამოვნოა ის, რომ ამ სამწუხარო გარემოებას ყურადღებას ათხოვებენ და ზოგნი, შეძლებისადა გვარად, სცდილობენ ხელი მოუმართონ სასოფლო სკოლასა და საერო პირველ დაწყებითს სწავლა-განათლებას. ჩანს, რომ კეთილი განზრახვა და აზრი ფეხს იკიდებს ჩვენს საზოგადოებაში, ხოლო სამწუხარო ის არის, რომ ამ კეთილს განზრახვასა და აზრს მძრუნველი და წინამძღოლი ეჭირვება. თვით სოფლის დაწინაურებული საზოგადოება შეჩვეული არ არის თავისს მოვლას და საკუთარის ვითარების წარმოებას და ეს არის თავი და თავი მიზეზი ჩვენის ცხოვრების უფერულობისა და დაჩრდომილებისა. ზოგს სოფელში თვით სოფლელებს უკისრნიათ სხვა-და-სხვა სასიკეთო საქმის წარმოება, მაგრამ სამწუხაროდ იმისი მაგალითიც ყოფილა, რომ უთაურობასა და უზრუნველობას კეთილის საქმისათვის ბოლო მოუღია. ამიტომაც საჭირო არის სოფლელებს ხელი შეუწყონ იმათ, ვისაც საზოგადო საქმის წარმოების უნარი აქვსთ. იმისთანა საქმეში, როგორიც სახალხო წიგნთ-საკითხავის გამართვაა, უსათუოდ მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც ჩვენმა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, ისე მთელმა ჩვენმა ინტელიგენციამ. რა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ სწავლა-განათლება ქვა-კუთხედია ჩვენის კეთილდღეობისა და მერმისისა და რაკი ეს აზრი საკმაოდ შეგნებული გვაქვს, აშკარაა, რომ უოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ და საერო განათლების საქმეს დავეხმაროთ. ზოგს ადგილას კერძო მხნეობასა და გარჯას უკვე თავისი გაუტანია და აქა-იქ სასოფლო სკოლასთან ერთად წიგნთ-საკითხავიც არსებობს. როგორც ნამდვილად ვიცით, სადაც წიგნთ-საკითხავია გამართული, იქ სოფლის ხალხი კარგის თვალით უყურებს სკოლას და სოფლელებს შორის ვრცელდება და ძლიერდება კითხვის სურვილი. კერძო მხნეობამ საჭირო სახსარიც მოიპოვა კეთილის საქმისათვის და ასე თუ ისე უძღვება ხალხის საჭიროებას. ამიტომაც ცხადია, რომ თუ ამ კეთილის აზრის მომხრენი ცდასა და შრომას არ დაიზარებენ, აზრიც საქმედ იქცევა. რათა ამ საქმეს მეტის ყურადღებითა და ბეჯითობით მოეკიდონ თვით სოფლელნი, საჭიროა ამ საქმის სათავეში „წერა-კითხვის საზოგადოება“ ჩადგეს, რომელიც თავისის სახელითა და მაგალითით კიდევ უფრო გაამხნევებს სოფლელ მოღვაწეთა და ასწავლის საქმის ძალასა და გაძღოლას. პირველ თაობით „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ თავისს საკუთარს სკოლებს უნდა გაუმართოს წიგნთ-საკითხავები და მით საძირკველი დაუდოს ფრიად კეთილს საქმეს. ეს მით უფრო ადვილია ამ საზოგადოებისათვის, რომ სადაც-კი ამ საზოგადოებას ფეხი მოუკიდნია, ყველგან დიდის თანაგრძნობით უცქერიან იმისს მოღვაწეობასა და მოქმედებას.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

* * აი ის უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც ბრილიანტის ჯვართან ერთად ყოვლად მოწყალედ ებოძა ხელმწიფე იმპერატორის მიერ საქართველოს ეგზარხოსს პალლადის:

ყოვლად სამღვდელო, ეგზარხოსო საქართველოსავ, მთავარ-ეპისკოპოსო ქართლისა და კახეთისავ,

პალლადი,

ხანგრძლივის სამსახურის შემდეგ შიდა რუსეთსა შინა, მოწოდებულ იქმენით გამგედ კავკასიისა და იმიერ კავკასიის საეკკლესიო საქმეთა ისეთსა დროსა და ჟამს, როცა მეტად დიდი ზრუნვა იყო საჭირო. გარნა თქვენ მაინც დიდად სასურველად ას-

## ფელეტონი

### მოგზაურობა

უცხოელ კაცისა კავკასიაში *)

ბ-ნი უორდროპი საკმარისად ვრცელს ანგარიშს იძლევა თითქმის ყოველ სადგურის გამო ტფილისიდამ კავკაზამდე. „ჩემს დღეში არ დამავიწყდებაო—ამბობს ავტორი—ის სიამოვნება, რომელიც გამოვიარე ანანურსა და ფასანაურს შუა მგზავრობის დროსაო. თუმცა უმთვარო ღამე იყო, მაგრამ ვარსკვლავები კაშკაშა სინათლესა ჰფენდნენ არე-მარეს, რომელიც უცნობია ჩრდილოელთათვის, და ანათებდნენ საკვირველის მშვენიერების ადგილებს: ცალ-მხარეზე თოვლით შემოსილი მთის წვერები, მეორეზე ვერცხლივით პჭყრიალა მდინარე, ხასხასა ტყე და გამარტოვებული ნანგრევები საკვირველ სანახაობას აძლევდნენ სურათსაო“.

არც ამ ადგილების მკვიდრი მცხოვრებნი ავიწყდება ბ-ნს უორდროპს: მოჰყავს ცნობები მთიულებზე, თუშფშავ-ხევსურებზე და ოსებზე. თუშფშავ-ხევსურების ქართველ ჩამომავლობაზე ავტორს, ეტყობა, ყური უთხოვებია იმ ცრუ აზრებისათვის, რომელთაც ასე თამამად ავრცელებენ სხვა-და-სხვა მეცნიერნი-გამომძიებელნი შაეროვ-რადდეების მოდგმისანი და ცოტა ეჭვის თვალით უყურებს იმათს ქართველ მოდგმას.

„ფასანაურიდამ ალმოსავლეთისაკენ სცხოვრებენ ხევსურნი, ფშავნი და თუშნი. იქნება (?) ეს ერნი ერთის მოდგმისანიც იყვნენ. ამათი ენა წააგავს (!) ქართულს ენას. იმათ რაოდენობაზე სხვა-და-სხვა ჩვენებაა, ოცი ათას სულიდამ ოც-და-ათი ათასამდე. იმათი ცხოვრება ჯერ ისევ ადამის დროინდელია და ხევსურნი დღესაც ჯავშნითა და მუზარადით ირთვებიან. ეს გარემოება და აგრეთვე ის ამბავი, რომ იგინი ქრისტეს სარწმუნოებისანი არიან, იყო მიზეზი ეჭვისა, რომ ხევსურნი წარმოსდგნენ საშუალ საუკუნის ჯვაროსანთა რაზმისაგან, რომელმაც მოიწადინა ხმელეთით დაბრუნება ევროპაში, გზა დაეკარგა და ამ ღელეებში ჩასახლდა. იმათი ქვეყანა კავკასიის ქედის უველაურესი ადგილია და იმათი სოფლები ისეა მიკრული კლდეებზე, თითქო არწივის ბუდეები იყოსო. ხევსურნი უმთავრესად სცხოვრებენ იმითი, რასაც აძლევს ღარიბი ხვნა-თესვა. ფშავნი და თუშნი მწყემსობითა სცხოვრებენ, ზამთარში მიუდით თავიანთი საქონელი დაბლა, კახეთში, და რაკი თოვლს აიღებს, ისევ თავიანთ სამშობლო მთებისაკენ მიეშურებიან. ეს სამივ თემი ველური (?) ხალხია და მეტად გულადი და გამბედავი. დიდის ხნიდამვე იგინი შეადგენდნენ ნაწილს საქართველოს სამეფოსას და განთქმული აქვთ სახელი მრავალის ომებით წინააღმდეგ ურწმუნოთა. ამათი ქრისტიანობა არ არის ისე გამორკვეულ-შემუშავებული, როგორც მაგალითად რომისა ანუ ბიზანტიისა, მაგრამ, ჩემის აზრით, ისეთივე აზრიანია, როგორც ქრისტიანობა რუსის მუჟიკისა, ანუ ინგლისელ ფერმერისა. თამარ-დედოფალი უღიარებიათ წმიდათა შორის, თაყვანსა სცემენ ღმერთს ომისას, აგრეთვე სხვა მრავალ ღმერთებს და ამავე დროს ძესა ღვთისასა იესო ქრისტეს. ნეფე ერეკლე მეორე ეცადა განეწმინდა იმათი ღვთის-მეტყველება, მაგრამ მათ უპასუხეს, რომ „თუ კი ჩვენ მტკიცენი ვართ ჩვენს მორჩილებაში და ვასრულებთ მეფის ყოველს ბრძანებას, რა უნდა ერეკლეს ჩვენის სარწმუნოებისაგან და რას გვედავებაო?“ ამათს სოფლებში ბევრგან შეგხვდებათ მართლმადიდებელი ეკკლესიები, მაგრამ მთიულები სრულებით არ აქცევენ მათ ყურადღებას“.

**

ყაზბეგის მთას შეუძლებელია უბრალო მგზავრმაც არ მიაქციოს ყურადღება და არ მოიდრიკოს მუხლი მის სიმშვენიერისა და სიდიადის წინაშე. რა თქმა უნდა, რომ ვერც ბ-ნს უორდროპს გამოეპარებოდა ეს უდიდესი ბუმბერაზი კავკასიონის ქედისა.

„ქართველები ამ მთას ეძახიან მყინვარსაო, ამბობს ბ-ნი უორდროპი, და ოსები-კი—ქრისტეს მთასაო. ყაზბეგი გვარია იმ ოჯახისა, ვისაც ეკუთვნის ეს ადგილები, და ცუდადაც გაუტანიათ მათი გვარი ამ მთის სახელ-წოდებად. მყინვარი არარატის მთასავით აუვალ მთად არის ცნობილი და ამიტომ არა სჯეროდათ, როდესაც თავიანთ მოგზაურობის ამბავსა სწერდნენ ჩვენი თანამემამულენი—ფრეშფილდი, მური და ტუკერი, რომელნიც, დიდის გაჭირების შემდეგ, ავიდნენ მყინვარზე ივნისს 1868 წელს. ამ მთაზე მონადირეს შეიძლება ჯიხვიც შეჰხვდეს თავისის ხელობის სავარჯიშოდ, მაგრამ თუ მაგდენად არ იქნება მოწადინებული, რომ თავისი თავი ჩააგდოს საფრთხეში და დაიღალდაიქანცოს, იქვე სადგურში იყიდის რამდენსამე მანეთად ჯიხვის რქებსაო“.

აქვე მოჰყავს ავტორს ცნობილი ლეგენდა შესახებ მყინვარისა, ვითომც ამ მთის წვერზე იდგეს „კარავი პატრიარქის აბრაამისა. ვითომც კარავში ჩამოკიდებულია აკვანი და უჭირავს ვილაცის უხილავს ხელს. აკვანში სძინავს ყმაწვილს იესოს. კარავის გარეთ სთესია პურის ყანა, რომლის ხორბალიც უშველებელის სიდიდისაა. აკვნის გარშემო მოგროვილია და ზვინებად აწყვია უთვალავი თვალის და მარგალიტი. მეფე ერეკლის დროს ამ მთის წვერზე ასულა ერთი მღვდელი თავისის შვილით, რომ ენახათ ეს საკვირველება. მარტო შვილი ჩამოსულიყო მთიდამ და თან ჩამოეტანა ნიმუში იმ ნივთეულობისა, რომლისაგანაც კარავი ყოფილიყო გაკეთებული, მსხვილი მარცვალი ხორბლისა და სხვანი. ფეხ-საცმელის ძირებზე აჰკროდა მრავალი ვერცხლის ფული.. მერე-კი ენახათ, რომ ეს ფული სრულებით ახალი დროისა ყოფილიყო“.

*) იხ. „ივერია“ №№ 257 და 261.

რულებთ თქვენს ფრიად მაღალსა და სამძიმო საქმეს.

ოდეს ვნახე ამ წელს კავკასია, დავრწმუნდი, რომ მწყემს-მთავრულმა მოღვაწეობამ თქვენმა, აღსავსემ მშვიდობის მოყვარეობითა და სათნოებითა ახალს ადგილზედაც ისე, როგორც წინანდელს თანამდებობაშიაც, მოგიპოვათ პატივის ცემა და მამაშვილური სიყვარული სამწყსოსი. გულ-მოდგინე მზრუნველობა თქვენი მისთა სულიერთა საჭიროებათა და მრავალ გვართა საეკკლესიო დაწესებულებათათვის კავკასიაში ზედ ერთვის გულ-მტკივნეულსა ურვასა თქვენსა ეკკლესიათა გაპატიოსნებისასა და განათლებულსა მცდელობასა თქვენსა დაცვად და აღდგენად ქრისტეანობრივთა ნაშთთა და ძეგლთა, რომელთა ეგოდენი სიმრავლეა ძველის-ძველად მართლ-მადიდებელ საქართველოში.

ნიშნად ჩემის ყურადღებისა ღირსეულისა და სასარგებლოისა მოღვაწეობისა მიმართ თქვენისა, ყოვლად მოწყალედ მიბოძებია თქვენთვის ბრილიანტის ჯვარი ბარტყულაზედ სატარებლად.

მივანდობ რა თავსა ჩემსა ლოცვათა თქვენთა, დავშთები მუდამ თქვენდა გულ-კეთილობით აღსავსე.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია

„ალექსანდრე“

გატჩინო
25 დეკემბერს 1888 წელს.

⁂ გუშინ-წინ, 29 ამ თვისას, ტფილისის სასულიერო სემინარიაში გაუმართავთ სამუსიკო და სალიტერატურო საღამო. ყმაწვილებს წაუკითხავთ ქართული ლექსები და უმღერნიათ რამდენიმე ქართული სიმღერა. სამწუხაროდ, ამ საღამოზე გარეშე არავინ დასწრებია. ყმაწვილების ნათესავები და ნაცნობებიც არა ყოფილან მოწვეულნი.

⁂ **ქართლი:** ქართლში ქურდობამ ისევ იჩინა თავი; ამ კვირია მოჰხდა ორი ქურდობა, ერთი სოფ. ხიდისთავში, მეორე სოფ. ვანათში. 28 ამ თვისას, შუაღამისას, სამი კაცი თავს დასხმია ხიდისთავის მღვდელს დ. ტატიშვილს და დაუკაკუნებიათ კარები: გააღე კარები, დეპეშაა თქვენთანაო. ტატიშვილს კარები გაუღია თუ არა, მისცვივნიან და ცემა დაუწყიათ კეტებით: ფული მოიტა ეხლავეო. ტატიშვილი გასძალიანებია. მაშინ ერთს ავაზაკს ამოუღია დანა და დაუსვია მკერდზედ; მღვდელს შეშინებია და მიუცია თორმეტი თუმანი. ამასთანავე ქურდებს წაუღიათ ვერცხლის სურა, საათი და სხვა ნივთი. როგორც ამბობენ, ტატიშვილს უცვნია ქურდები და დასაჭერად გაუგზავნიათ გორის ბოქაულის თანაშემწე მ. ვე—ძე.

მეორე ქურდობა მოჰხდა სოფ. ვანათში შობის მეორე დღეს, ღამის ორს საათზედ. სამს შეიარაღებულს კაცს გაუტეხნია გ—ლის ქვრივის სახლი. ამ დროს ქვრივი იმყოფებოდა ტფილისში, სახლში ყოფილა 12 წლის ბავშვი, რომლისათვისაც უთქვამთ: მოიტა ეხლავე რაც რამე გაქვსთ, თორემ მოგკლავთო. ბავშვსაც მიუცია ყოველისფერი, რაც-კი მოეპოებოდათ: ფული (2 მ. 50 კ.), ლოგინი, ქვაბები და სხ. ქურდები წასულან თუ არა, ბავშვს დაუწყია ყვირილი—მიშველეთო. ყვირილი გაუგონია ამავე სოფლის მასწავლებლის თანაშემწეს ა. ბ—ვს. ამას გამოუტანია თოფი და დაუცლია. მცხოვრებლებს გაუგიათ თოფის ხმა და გამოცვივნულან კარში, მაგრამ შიშით ავაზაკებს ველარ გამოსდევნებიან.

⁂ **ქ. ყარსი:** ორი კვირა იქნება, რაც აქ ჩამოვიდა წინამძღვარი სამხედრო ეკკლესიისა მამა დეკანოზი ბორჩი. როგორც სჩანს, მამა დეკანოზს ძალიან მოსწონებია ქართული წირვა-გალობა, როცა ტფილისში მოუსმენია ეს გალობა. ეხლა ჩვენც აქ მყოფი ქართველები გავხდით ღირსნი ქართულის წირვისა. შობა დღეს მამა მთავარმა ხუციშვილმა მწუხრი ქართულად ჩამოილოცა. ამ მოულოდნელმა ამბავმა მთელი ქართველი საზოგადოება მეტად გააკვირვა და ასიამოვნა. როგორც შევიტყეთ, მამა დეკანოზს დაუვალებია მთავრისთვის, რომ ყოველ წირვა-ლოცვაზედ მწუხრი ქართულად ჩამოილოცოს ხოლმე. აგრეთვე განზრახვა აქვს, რომ ქართული ნოტები გამოიწეროს და ხოროს ასწავლოს ქართული საეკკლესიო გალობა. დიდის მადლობის ღირსია მამა დეკანოზი ამ კეთილის განზრახვისათვის. ყველამ კარგად იცის, რამდენად სასიამოვნოა დედა-ენაზედ მოსმენა წირვა-ლოცვისა და ამიტომ ყარსში მყოფნი ქართველები დიდს მადლობას ვუძღვნით მამა დეკანოზსა.

⁂ **იქიდამვე:** ყარსში ამ ჟამად 21° სიცივეა. ერთის სიტყვით, სიცივისა გამო იძულებულნი ვართ სულ შინ ვისხდეთ. ზამთარში ყარსელებს ორი დროს გასატარებელი ადგილი გვაქვს: ერთი კლუბი და მეორე საცურაო მოედანი. მეტი არ იქნება ვუამბო მკითხველს, თუ რა არის ეს საცური მოედანი ჩვენში. ეს მხოლოდ იმათ იციან, ვინც რუსეთში ყოფილა. გაიყინება თუ არა მდინარე ყარსა-ჩაი, მაშინვე გაჰმართავენ ხელის-მოწერასა და აგროვებენ ფულსა საცურაოს გასამართავად. ამ ფულით აგვევნებენ გაყინულს წყალზედ ყინულს და, თუ საჭიროა, არწყვენინებენ კიდეც. აგერ ჰხედავთ, რომ რამდენიმე ქალი და კაცი მიდიან საცურაოდ, იღლიაში უჭირავთ რკინის წრიაპები; მიიკრავენ ფეხებზე ამ წრიაპებს და საამურად დასცქრიალებენ ლურჯს ყინულზედ. ასე ატარებს დროს ახალგაზრდობა.

ყარსში ამ ზაფხულს დიდი მუშაობა იყო: დიდ-ძალი სახლები დაანგრიეს, რის გამოც სახლის ქირამ ძალიან აიწია. ბაზარი ხომ სულ ახალი ააშენეს. ამას ზედ დაუმატეთ რკინის ხიდი, რომელსაც ეხლა ათავებენ. ორი-სამის წლის განმავლობაში ყარსი ძნელად საცნობი იქნება.

⁂ მოგვყავს გაზეთ „Гражданинъ“-იდგან აღწერა კავკასიურის საღამოსი, რომელიც თავ. ი. ნაკაშიძემ გაჰმართა პეტერბურგში ამ თვის 21-ს. გაზეთის სიტყვით, ეს საღამო საუცხოვოდ მხიარულად გაატარა საზოგადოებამ. ხალხი დიდ-ძალი დაესწრო, მომეტებულ ნაწილად კავკასიელი სტუდენტები. საღამოზე დაესწრნენ კნ. თარხნიშვილისა და მეჽ რანსკისა, თ. აბაშიძე გოლენკო, გურიელი, ნაკაშიძე, ტფილისის ქალაქის თავი ბ-ნი ა. მატინოვი და სხვანი კავკასიელნი. საღამო დაიწყო წარმოდგენით. ითამაშეს ბ-ნ ა. ცაგარლის კომედია „ხანუმა“. წარმოდგენამ ძალიან ცოცხლად ჩაიარა და საზოგადოებამ ძალიან ისიამოვნა. შემდეგ გამართეს ცხოველი სურათები „ვეფხის-ტყაოსნიდგან“, პროფესსორის ლაგორიას ხელმძღვანელობით. დამსწრეთ მეტის-მეტად მოეწონათ ქ-ნი იაკიმიდი, რომელმაც წარმოადგინა განრისხებული ნესტან-დარეჯანი. ბ-ნი ლაგორიო საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიწვია. შემდეგ ითამაშეს ლეკური ბ-ნმა გაბუნიამ და ქ-ნმა ძნელაძისამ, რომელიც საკუთრად ამ საღამოსათვის მოსკოვიდგან ჩამოვიდა პეტერბურგს.

⁂ 28 ამ თვისას, წუხელის ქუჩაზე, კულაევის სახლის წინ, მიუგდიათ ახლად დაბადებული ყმაწვილი მამრობითის სქესისა. ბავში სახეპო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

⁂ იმავე დღეს, დილის ცხრა საათსა და ნახევარზე, მეცხრე განყოფილებაში, ტფილისის მოქალაქემ ნიკოლოოზ პართიონოვმა რევოლვერი განზრახ გაისროლა და ტყვია პირში მოიხვედრა. დაზიანებული საქალაქო საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

## ორიოდე სიტყვა სახალხო წიგნთ-საკითხავის გამო.

ერთი უმთავრესი ნაკლულევანება ჩვენის სოფლის სკოლებისა ის არის, რომ სკოლებთან ერთად გამართული არ არის სახალხო წიგნთ-საკითხავი. ეს არის თავი და თავი მიზეზი იმისა, რომ შეგირდებს სასოფლო სკოლებში სწავლის დამთავრების შემდეგ ნასწავლი ავიწყდებათ. თუ აქა-იქ ჩვენი გლეხ-კაცობა გულგრილად ეკიდება სკოლებს, ამისი მიზეზი სწორედ ხსენებული გარემოებაა. გლეხ-კაცობისაგან ხშირად გვესმის ხოლმე საჩივარი სასოფლო სკოლებზე: დალოცვილო, რისი მაქნისია სკოლა, როცა ჩვენს ყმაწვილებს რამდენისამე ხნის განმავლობაში წერა-კითხვაც-კი ავიწყდებათო. ეს გარემოება იმდენად სამწუხაროა, რომ ჩვენში სოფლის დაწინაურებულმა საზოგადოებამ ყურადღება უნდა ათხოვოს და ხელი მოუმართოს გლეხობასა და საერო განათლებას.

რადგანაც სოფლის საზოგადოება იმდენს ფულს ვერ აგროვებს სკოლის სასარგებლოდ, რომ ამ ფულით წიგნთ-საკითხავიც გაიმართოს, ამიტომ წიგნთ-საკითხავის ხარჯს ზოგჯერ კისრულობს სოფლის დაწინაურებული საზოგადოება: ზოგი კერძოდ სწირავს ფულს, ან ჰმართავს წარმოდგენას, ზოგიც სხვაფრივ სცდილობს ამ კეთილს საქმეს ხელი მოუმართოს. ზოგს სოფლებში, სახელდობრ რუისში, ხოვლესა და კავთისხევში, ახალქალაქსა და სხვაგანაც, ეს კეთილი აზრი უკვე საქმედ უქცევიათ.

ზოგი სოფელი მარტო ამ აზრითაც არა კმაყოფილდება, სცდილობს შეადგინოს სოფლის სკოლის დამხმარებელი საზოგადოება, რომელსაც აზრად ექნება დაარსოს სახალხო წიგნთ-საკითხავი, გაჰმართოს სახალხოდ წიგნების კითხვა, დაუნიშნოს სტიპენდია იმ ღარიბ მოსწავლეებს, რომელთაც დაუმთავრებიათ სასოფლო სკოლა და სურვილი აქვსთ განაგრძონ სწავლა. ჩვენა გვაქვს ერთად-ერთი სპეციალური საზოგადოება, რომელსაც, სხვათა შორის, ეს საგანიცა აქვს აზრად. ეს არის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. მეტი არ იქნება, ამ საზოგადოებამ იკისროს და მოჰკიდოს ხელი საზოგადო წიგნთ-საკითხავების გამართვას. ამისთვის საჭიროა დანიშნოს აგენტები იმ სოფლებში, სადაც სკოლებია. აგენტებმა უნდა იკისრონ წარმოდგენის გამართვა, კერძოდ შემოწირულის ფულის შეგროვება და ამ სახით და სხვაფრივაც დაეხმარნენ „წერა-კითხვის საზოგადოებას“.

საქართველოში ბევრია იმისთანა სო-

---

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს იმაზედ, თუ რა კავშირი უნდა ჰქონდეს მყინვარის მთას პრომეტეის ზღაპართან და კიდევ ბევრს სხვაზედ მაგრამ ჩვენ შორს ნულარ გავყვებით ავტორს, თორემ გაგვიძნელდება წიგნის ბოლომდე გასვლა.

⁂

კავკავიდამ ბ-ნი უორდროპი ჩამოსულა ისევ ტფილისში და აქედამ გამგზავრებულა კახეთისაკენ. რასაკვირველია, თვით გზა კახეთისა თავისის უწესო და ჭუჭყიან სადგურებით აღარ მოეწონებოდა ინგლისელ მოგზაურს, მეტადრე შემდეგ კავკავის სამხედრო გზისა. აი როგორ უწერს ამ გზას ბ-ნი უორდროპი ინგლისის საზოგადოებას: „ადგილი, რომელზედაც გატარებულია კახეთის გზა, წარმოგიდგენთ დაცემულსა, უწყლოსა და უკაცო მინდორს. ხანდახან ისეთი ძრიელი ქარი ამოვარდება ხოლმე ამ ადგილზე, რომ მარტო გომურში თუ შეაფარებ თავსა, გომურში, რომლის ბანიც მიწის პირ-პირ მოდის. ამ ოცის წლის წინად „ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“ ხელმწიფისაგან აილო ადგილი ყარაიაში და დაჰხარჯა არხის გაყვანაზე 370,000 მანათი, რომ საწყალად გარდაექმნა ეს მიწები. ვერ წაიყვანა საქმე რიგიანად და შედეგიც ისეთი არა ჰქონდა, რომ გაემხნევებინა ეს საზოგადოება, თუმცა-კი ამ ავადმყოფ ადგილას დაასახლა რამდენიმე კომლი ასურელ ქრისტიანეთა. აქა ჰხედავთ აშკარა ნიშნებსა და კვალს იმისას, რომ უწინ ეს უდაბური ადგილები ირწყვებოდა მტკვრის წყლითა და რომ ყოფილა კაი შემუშავებული სისტემა ირრიგაციისა. დღეს-კი მთელი ამ გზის გაყოლება მინდვრები თითქმის გაუდაბნოებულია და ჯეირნები დასეირნობენ თამამად, მონადირეთაგანაც-კი ხელ-უხლებელნი“.

სიღნაღამდე მაინც შესანიშნავი და მიმზიდველი არა არის-რა და ავტორიც არ აფარებს ხელს ამ არარაობას. სიღნაღი-კი თავისის მდებარეობითა და გადასახედებით ძალიან მოსწონს ბ-ნს უორდროპს. მაგრამ კავკასიონის ქედი, ალაზნის ველი, რომელიც მარცხნივ მორთულია თვალ-უწვდენელ ტყეებით, იტაცებს ახალგაზრდა მოგზაურის თვალს და ავტორი დიდად მოწადინებულია დაიაროს კახეთი, რომელსაც იგი უწოდებს „საქართველოს ბაღს“. ავტორს ქოდალოში გაუცვნია თთ. ანდრონიკაშვილები და ბაკურციხეში—თთ. ვაჩნაძეები, რომელთაც დიდის პატივისცემით იხსენიებს და უქებს სტუმართმოყვარეობას. მათის შემწეობით ბევრი კაი ადგილი უნახავს ბ-ნს უორდროპს. თ. ვაჩნაძეს დაუპირებია გალმა-მხრის მამულების დათვალიერება და მიუწვევია ბ-ნი უორდროპი, რომელიც დიდის სიამოვნებით წაჰყოლია თან.

რომ მოვიგონებ ამ მოგზაურობას, დღესაც სიამოვნებით ამევსება ხოლმე გული, ამბობს ავტორი. ჩვენი გზა ბაკურციხეზე იყო, ცხენებზე ვისხედით და ერთ პატარა სოფელთან, რომელიც ბაკურციხისა და სიღნაღის შუა გზაზე სძევს, ორნი ჩვენგანი დავწინაურდით და ვკარით ქუსლი ცხენებსაო. კარგა ხან ჩვენი ცხენები მხარ-და-მხარ მიჰქონდნენ, ვიდრე ჩემის თანამგზავრის ცხენს ნალი არ გაუტყდა. ის დავტოვე იქვე სამჭედლოში და მე მარტოკამ მივანებე თავი ცხენს. ზაფხულის ცხარე მზე მაღლა იყო წამოსული ლურჯ ცის კამარაზე; მარცხნივ გამწკრივებული იყო ვაზით მორთული ფერდობები; მარჯვნივ, ალაზნის იქით, აყუდებულიყვნენ თეთრნი მთის წვერნი იმ მთიან კედლისა, რომელიც გაჭიმულიყო ჩემსა და ევროპას შორის. მე აღარ მახსოვდა არც ჩემი ჩამომავლობა, არც ჩემი ქვეყანა, არც კაცობრიობა და არც არაფერი. მე და ჩემი ცხენი გარდავიქმენით ერთ არსებად და ჩვენ შევერიენით იმ დიდს, ცოცხალ ოკეანეში, რომელსაცა ჰქვიან სიცოცხლე. ჩემი მაჯა სცემდა თანხმად თვით ბუნების გულის ცემისა, მესმოდა გულის პასუხი ჩხრიალა წყაროებისა, მესმოდა თვით ის სიტყვები, რომელსაც ჩასჩურჩულებდა მოძრავი ჰაერი ხის შრიალა ფოთლებს. მე შევიქმენ ნაწილი კურთხეულ ნირვანასი, რომელშიაც კაცს აღარ ახსოვს თავისი ვინაობა და ჰგრძნობს მხოლოდ ქვეყნიერობის სულის მოძრაობას“.

⁂

მგზავრები ჩამომხდარან ბაკურციხეში, სადაც თ. ვაჩნაძე და ბ-ნი უორდროპი თავიანთის მხლებლებით მიეპატიჟნათ სადილად დიდს წვეულობაზე, რომელიც გამართული ყოფილიყო კახელ მემამულეთათვის. მრავალი კახელი კაცი და ქალი იყო თურმე ამ სადილზე. ჩვენ არ ვიუარეთ სტუმართ-მოყვარეობა მასპინძლისაო და ბევრიც გვასიამოვნა ამ სტუმართ-მოყვარეობამაო—ამბობს ავტორი. მაგრამ „როდესაც სტუმართ-მოყვარეობას ვამბობ, ამ სიტყვას ისე-კი არ ვხმარობ, როგორც საზოგადოდ არის მიღებული. ქართველი კაცი ისე თავაზიანად და ისეთის სიყვარულით ეკიდება თავისს სტუმარს, რომ ევროპიელთ არც-კი გვინახავსო. შუადღის იქით სამი საათი იქნებოდა, რომ ბექურზე ხეების ჩრდილ ქვეშ დავსხედით სადილად. სადილი სწორეთ აღმოსავლეთ ქვეყნებისა იყო: მდიდრული ფლავი, გაკეთებული ნუშით, კაკლით და სხვა ხილით, მწვადები სუკისა და სხვა საუცხოვო საჭმელები, რომელთა მოგონებაზე ეხლაც-კი ნერწყვი მომდის ხოლმე პირში. ღვინო ღირსია განსაკუთრებულის ყურადღებისა: კახეთის მიწა მთელს დედამიწაზე საუკეთესო ნიადაგია ვაზის მოსაშენებლად და იქ კაცი მოიყვანს ყოველნაირ ღვინოს, თვით შამპანურსაც. საუბედუროდ, მკვიდრთ არ იციან ხერხი, რომლის შემწეობითაც ღვინოს ისე ანელებდნენ, რომ ერთსა და იმავე დროს მდიდარ ევროპიელთაც მოაწონონ. ზოგიერთი კახური ღვინო-კი ისეთია, რომ ევროპიელი გემოვნებაც ვერ დასდებს წუნსა, და ამისთანა ღვინოები ძრიელ იყიდება პეტერბურგსა და მოსკოვში, მაგრამ მაინც ამ ღვინოების სახელი ჯერ ისე არ გავარდნილა, როგორც მათ

ფული, საცა წარმოდგენა იმართება სხვა-და-სხვა საზოგადო საქმისათვის, მაგრამ, როგორც გვესმის, საზოგადო საქმეს-კი იშვიათად ჰხმარდება წარმოდგენიდგან შემოსული ფული. ეს სამწუხარო გარემოება ჩვენ სოფლებს მაშინ ასცილდება, როცა წარმოდგენის მოთავეთა და გამგეთ მოეკითხებათ ანგარიში და ამ საქმეს ისეთი მეთვალყურე ეყოლება, როგორიც „წერა-კითხვის საზოგადოებაა“. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ ამ სახით შეგროვილი ფული უნდა მოახმაროს იმ სოფლებს, საცა ფული შეუგროვებია. ამას ადვილად აასრულებს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რადგანაც იშვიათია იმისთანა სოფელი, საცა კი სკოლა არსებობს, რომ რამდენიმე თუმანი არ შეაგროვოს წელიწადში გამრჯე აგენტმა, ნამეტნავად მაშინ, როცა სოფლის მასწავლებელი დაეხმარება ამ კეთილს საქმეში.

სოფლის სკოლის მასწავლებელი
ნიკო თარხნიშვილი

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** ვენაში ერთი კარგი წიგნი დაუბეჭდიათ იმპერატორის ფრანც-იოსების იუბილეის გამო. ეს წიგნი აღწერაა ვენისა და ისტორიაა მისი ამ სამოცის წლის განმავლობაში. წიგნის დაწერაში მონაწილეობა მიუღიათ უკეთესს მწერლებს და დიდად უცდილან კიდეც, რომ მათგან დაწერილი წიგნი სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავი ყოფილიყო ვენელებისათვის. სწორედ ასეთი წიგნიც ჰისო. ვენელები, როგორც მოხუცნი, ისე ყმაწვილნი, დიდის სიამოვნებით კითხულობენ თავიანთის ქალაქის აღწერასაცა და თავგადასავალის ამბავსაცაო. წიგნი ამბობს, სხვათა შორის, რომ ვენა ამ ორმოცის წლის წინად ძალიან პატარა ქალაქი იყოვო. 1846 წლამდე ვენამ არ იცოდა რა იყო ტელეგრაფი. მხოლოდ 1849 წელს გაიმართა აქ პირველად ეს დაწესებულება და მერე მალე გავრცელდა მთელს სახელმწიფოშიაცაო. ქალაქს ანათებდნენ მაშინ ზეთის ლამპრებით. გზები და ქუჩები არ უვარგოდა. მრეწველობა ნაკლებად იყო. მრეწველობა-ხელოსნობაში უფრო აბრეშუმეულობის კეთებას მისდევდნენ. ეს საქმე აძლევდა სამუშაოს და ლუკმა პურს 2,000 ქარგალს, 4,000 დღიურ მუშა დედაკაცს და 8,000 შეგირდს. წინად სულ წარმოება ვენისა 834 მილიონისა ძლივს იყო. ეხლა-კი მარტო ქარხნებს მოაქვს 400 მილიონი წმინდა მოგება. ვენას მისდიოდა მაშინ საქონელი 83 მილიონისა, ეხლა ათჯერ ამაზედ მეტი უნდება. გაჰქონდათ ვენიდამ 48 მილიონის საქონელი, ეხლა კი 28 ჯერ მეტი გააქვსთ. ბანკი ერთად-ერთი იყო მაშინ, ეხლა-კი ათასია.

— ერთს სამხედრო კრებაზე მემკვიდრე პრინც როდოლფს უთქვამს, რომ უნდა შეიცვალოს სამხედრო წესდებანიო.

— საახალწლოდ, რომელიც თორმეტის დღით ადრე დადგება ხოლმე დასავლეთ ევროპაში, ყოფილან ლიბერალები ვენგრიის მთავარ-მინისტრ კოლომან ტისასთან და მიულოცნიათ ბედნიერი დღე. გრაფ საფარის, ფინანსთა ნამინისტრალს, უთქვამს ლიბერალთა სახელით ტისასთვის, რომ თქვენი ღვაწლი დიდია ვენგრიის წინაშე, ლიბერალთა დასი დიდად გენდობათ თქვენ, როგორც თავის გამოცდილს მეთაურსაო, და მუდამ მომხრე იქმნება თქვენის საშინაო და საგარეო პოლიტიკისაო. ამაზე ტისას პასუხად უთქვამს, რომ შემდეგაც მშვიდობა შეურყეველი იქმნება ევროპაში, სამთა დიდთა სახელმწიფოთა კავშირის წყალობითაო. კავშირი სახელმწიფოთა ბევრი ყოფილა წინადაც, მაგრამ ამ გვარი კავშირი-კი არც ერთი არა ყოფილა. ამ კავშირს მხოლოდ მშვიდობის მოყვარეობა ამოქმედებს და ასულდგმულებს, ამიტომ, იმედია, ახალის წლის განმავლობაშიაც მშვიდობა ევროპისა არ დაირღვევა და ქვეყნის წარმატებას არაფერი არა დაუშლის რა სამერმისოდაცაო.

**საფრანგეთი.** საფრანგეთში ამ ჟამად დიდი მზადებაა არჩევანებისათვის, საარჩევანო ციებ-ცხელებაა. ბულანჟემ გამოაცხადა თავისი კანდიდატობა და შესაფერი ეპისტოლეც დაბეჭდა ამომრჩეველთა მიმართ. ჟურნალ «დღეება» და «რეპუბლიკ ფრანსეს» ამბობს, რომ ეპისტოლე გენერალის ბულანჟესი პარიჟის ამომრჩეველთა მიმართ ვერაფერიაო. გაზეთი „რაპპელი“ ამბობს, რომ ეპისტოლე მისი ნამდვილი საგენერალო საქმეაო. კლემანსოს გაზეთი „ჟუსტის“-ი ამბობს, რომ გენერალ ბუმ-ბუს გააშავებენ უთუოდ მეკენჭენიო. «ფიგაროსა» და „გოლოას“ მოსწონთ ეპისტოლე გენერლისა: უთუოდ გაიმარჯვებს გენერალიო. ერთი გაზეთი ურჩევს კიდეც რესპუბლიკელებს, თქვენს კანდიდატს ნურც-კი დაასახელებთო. სარესპუბლიკო დასებმა თავიანთი წარმომადგენელნი შობა დღეს გაჰგზავნეს საარჩევანო კონგრესზედ.

— სენატორს ბიუფეს უთქვამს, რომ გენერალ ბულანჟეს არჩევა პარიჟის დეპუტატად რესპუბლიკის უბედურების მომასწავებელი ნიშანი იქმნებაო.

**ინგლისი.** ინგლისს ბევრი ახალშენები აქვს ქვეყანაზე. მაგრამ ამ ახალ-შენების ბედი ყველგან ერთი და იგივე არ არის. ავსტრალიისა და ამერიკის ახალ-შენებმა დიდი ხანია მიიღეს ინგლისისაგან თვით-მმართველობა, ხოლო ინდოეთი დღემდე ისევ ინგლისისაგან არის დამოკიდებული და თავისი საკუთარი პარლამენტი არა აქვს, როგორც სხვა ზემო-ხსენებულს კოლონიებს ამერიკისასა და ავსტრალიისას. ამერიკის და ავსტრალიის თითოეულს კოლონიას თავისი საკუთარი პარლამენტი აქვს, რომელიც სახელმწიფო ხარჯს ანაწილებს მკვიდრთა შორის, ადგენს ახალს კანონს და შემოაქვს ცხოვრებაში. ამას გარდა ამ პარლამენტის წინაშე სამინისტრო პასუხის-მგებელია და მუდამ ანგარიში უნდა აძლიოს ქვეყნის მართვისა და გამგეობის საქმეში. ინგლისის უფლება კოლონიაში მხოლოდ ის არის, რომ ჰნიშნავს გუბერნატორებს, რომელთაც უფლება აქვსთ შეაყენონ კოლონიის პარლამენტი, თუ ეიციცობაა ისეთის კანონის შემოღებას მოინდომებს, რომელიც მავნებელი იქმნება ბრიტანიის იმპერიის საზოგადო ინტერესებისათვის. სრულიად სხვასა ვხედავთ ინდოეთში. ინდოეთს განაგებს ვიცე კოროლი, რომელსაც ჰნიშნავს ინგლისი და რომელსაც დიდი უფლებანიცა აქვს მინიჭებული. მართალია, ვიცე-კოროლს გარდა, არსებობს ინდოეთში საკანონ-მდებლო საბჭო, მაგრამ ამ საბჭოში წევრებს ჰნიშნავს ან ინგლისის მთავრობა, ან თვით ვიცე-კოროლი. ინდოეთის მკვიდრთ-კი უფლება არა აქვსთ თვით აირჩიონ ამ საბჭოს წევრნი. ამ საბჭოს მოვალეობაა სხვათა შორის ბიუჯეტის შედგენაცა, ხოლო მისი დამტკიცება-კი ისევ ინგლისის მთავრობაზეა დამოკიდებული.

იყო დრო, როცა ასეთივე წესი ჰსუფევდა ინგლისის სხვა კოლონიებშიაცა ამერიკასა და ავსტრალიაში, მაგრამ დროს განმავლობაში ინგლისის მთავრობა დარწმუნდა, რომ ბევრად უკეთესი იქმნება კოლონიების კეთილდღეობისათვისაცა და თვით ინგლისისათვისაც მიენიჭოს კოლონიებს თვით-მართველობა. ეს თვით-მართველობა უფრო განამტკიცებს კავშირს ინგლისსა და კოლონიებს შორისაო. მართლა ასეც მოხდა. კოლონიებიც გამდიდრდნენ და ინგლისსაც მეტის ნდობითა და პატივის-ცემით დაუწყეს ყურება. დღეს ინდოეთმაც მოინდომა, რასაკვირველია, თვით-მართველობა და ის სიკეთე, რომელსაც ასეთი დაწესებულება აძლევს ქვეყანას. მაგრამ აქ დაბრკოლებაც აღმოჩნდა. ეს დაბრკოლება ის იყო და არის დღეს, რომ ინდოეთის მკვიდრთა უმრავლესობა მოსლემინობა და ინდუსები არიან. ინგლისი დიდხანს სცდილობდა არავითარი მონაწილეობა არ მიეცა მკვიდრთათვის ინდოეთის საპოლიტიკო ცხოვრებაში და ინდოეთის ვიცე-კოროლებიც ასე იქცეოდნენ, მაგრამ 1880 წლიდამ, როცა გლადსტონი მთავარ-მინისტრად იქმნა არჩეული, ინგლისის პოლიტიკა სხვაგრივ შეიცვალა. გლადსტონმა გაჰგზავნა ინდოეთში ვიცე-კოროლად ლორდი რიპონი და დაავალა მოემზადებინა იქაურნი მკვიდრნი თვით მართველობისა და თავისუფალის საპოლიტიკო ცხოვრებისათვის. ამაზე კონსერვატორები ძალიან გასწყრნენ და ჰთხოულობდნენ რიპონის გადაყენებას. ამასობაში რიპონი დიდად შეიყვარეს ინდოეთის მკვიდრთა, რომელთაც მოსწონდათ ლიბერალის ვიცე-კოროლის ქცევა. მაგრამ რიპონი იძულებული იყო თავი დაენებებინა ვიცე-კოროლობისათვის. მის ადგილს დაინიშნა ლორდი დეფერინი. ამ ლორდმა ისევ ძველებურად დაიწყო საქმე, მაგრამ ამ რიპონის მოღვაწეობამ მუქთად არ ჩაიარა. გამოფხიზლებულნი მკვიდრნი ინდოეთისანი მიხვდნენ, რომ იმათი ხსნა, იმათი ბედნიერება თვით იმათ ხელშივეა და ამიტომ, რაკი ერთხელვე დაიბადა ეს აზრი, აღარ შესწყდა მოძრაობა თვით-მართველობის მოსაპოვებლად. ამ ხანებში დიდს ქალაქ ალაჰაბადში დიდი კრება იყო ინდოეთის მკვიდრთა. კრებამ გადასწყვიტა, ვთხოვოთ ინგლისს თვით-მართველობაო. კონსერვატორებმა ძალიან იმწყრეს ესა, მაგრამ გლადსტონელები თანაუგრძნობენ ინდოელებს და იმედი აქვსთ, რომ ეს საქმე მალე განხორციელდებაო.

## წვრილი ამბები

ამერიკა ქარხანაა ყველა იმისა, რაც-კი ქვეყნად საკვირველი და საოცარი არსებობს. ცნობილი ედისონი ყველაზედ ნაყოფიერი შემომქმედია ამ საოცრებათა მეცხრამეტე საუკუნეში. ამ საკვირველს კაცს კიდევ ერთი ახალი და სასარგებლო რამ გამოუგონია. ამ მოგონილის წყალობით, დღეიდგან კითხვის შეძლება ექმნებათ იმათაც-კი, რომელთაც წიგნი თავისს დღეში ხელში არ აუღიათ და

---

ღრებათ. ეს არის, ვაჭრები ძალიან აბრკოლებენ ახალ ღვინოების გავრცელებას, სწორედ ისე, როგორც ჩვენმა ავსტრალიელმა და აფრიკელმა თანაქვეშევრომებმა იციან, ესე იგი ხარჯთან შედარებით ძვირად ჰყიდიან, მაგრამ მოვა დრო, როდესაც კავკასიის მეღვინეობა გაითქვამს სახელს, და ფასში ჩაეარდება“.

ასეთსავე შეუშურველ ყოფაში უნახავს ბ-ნს უორდროპს ჩვენი მეთამბაქოები: „თამბაქოს მოყვანაც ცუდად მიდისო. მე ვნახე რამდენიმე ასი ცალი საპალნე საუცხოვო თამბაქოს ფოთლისა წარსულ წლის მოსავლიდამ. სულ გაუყიდელი ეწყო. ეს თამბაქო არაფრით განირჩევა სტამბოლის თამბაქოსაგან და ისე-კი ძირს არის დაწეული მისი ფასი, რომ სწორედ სასაცილოა. ევროპას ჯერ არ შეუტყვია ღირსება ამ თამბაქოსი და თვით რუსეთშიაც აგრეთ წოდებულ ბათუმის თამბაქოს მხოლოდ ამ უკანასკნელს წლებში მიეზიდებიან, თუმცა იგი გაცილებით მაღლა სდგას, ვიდრე დონის პლანტანციების თამბაქო. ქართველ მემამულეებს ვერ გაუბედნიათ ევროპაში გაიტანონ თავიანთი საქონელი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ინგლისის ფირმები გაჰგზავნიან თავიანთ ფიშკრებს საქართველოში, არ ინანებენ. მხოლოდ-კი საჭიროა, რომ მოერიდნენ სომხის დალალ-ვაჭრებსა და პირ და-პირ ქართველ მწარმოებელთან დაიჭირონ საქმე“.

**

ბაკურციხის სადილის გამო ავტორი აუწერს ინგლისის საზოგადოებას, თუ როგორი ჩვეულობა ჰსუფევს ჩვენში ღვინის სმის დროს: „უთუოდ უნდა აირჩიონ სუფრაზე ტოლუმბაში, რომლის მოვალეობაც არის რიგ-რიგით ყველა მონადიმეთა სადღეგრძელო ჩამოატაროს. ვინც მეორე სადღეგრძელომდის არ გამოსცლის თავის ჰიქას, ტოლუმბაში შეუძახებს „ალავერდიო“, რაზედაც მოგვიანებული მსმელი უპასუხებს — „იახშიოლო!“ და მაშინათვე გამოსცლის ჰიქას, თორემ ვაი იმისი ბრალი — იმ წამსვე დასჯიან და უსუნთქებლივ გადააკვრევინებენ სავსე ყანწს. „ალავერდი“ და „იახშიოლ“ თათრული სიტყვებია მოსაგონებლად ერთის მამაცის ალავერდისა, რომელიც ქართველებთან ერთად ეომებოდა სპარსელებს და მოკლულ იქმნა ამ ომში. ჰიქაში ჩაეტევა ერთი მეოთხედი კვარტისა, და უცხოელს მეგობრები ჩააგონებენ ხოლმე პირობებს, როცა შეუძლიან დაანებოს თავი სუფრას. კარგი ის არის, რომ ღვინო ნამდვილი წვენია ყურძნისა და ვისაც საკმაოდ მაგარი თავი აქვს, შეუძლიან ორი ან სამი კვარტი დალიოს და ცუდად არ შეიქმნეს. ყოველს სადღეგრძელოზე იმღერებენ ხოლმე გრძელსა და ძველს სიმღერას — „მრავალ-ჟამიერ ღმერთმა ინებოს!“, რაზედაც ასე პატივნაცემი დღეგრძელებული პასუხად იმღერის — „მადლობელი ვარო“. ეს სიმღერა წიგნის დამატებაში გადმოიღე ნოტებზე. ქალები სუფრაზე ჰსმენ ცოტათი ღვინით დაფერილს წყალს.

„ჩვენმა სადილმა ორს საათზედ მეტი გასტანა, და ბოლოში სხვა სადღეგრძელოებზე გადავედით. სხვათა შორის, ძალიან დიდის ალტაცებით მიიღეს სადღეგრძელო საზოგადოდ ინგლისისა და კერძოდ ჩვენის დედოფლის ვიქტორიასი. ჩაის შემდეგ ყველანი გავერთენით მუსიკითა და ცეკვით. ლამდებოდა, რომ ჩვენ ყველანი, დიდი და პატარა, ვთამაშობდით „თაგო-თაგობასა“ და «კეკემალულობას». შუაღამისას ძლივს გავშორდით ერთმანეთს მოსასვენებლად. ზოგი გაიმართა ხალიჩით დაფენილს დაბალს ტახტზე, რომელზედაცა ჰშლიან საქართველოში ქვეშაგებს, და ზოგი-კი, ვისაც ერჩივნა გარედ მწვანეზე ძილი, პლედებში და ნაბდებში გაეხვიენენ“.

**

ამ წერილს გავათავებთ ბ-ნ უორდროპის შენიშვნით შესახებ ჩვენებურის სალამისა — „გამარჯობა-გაგიმარჯოს“.

გზაში სიარულის დროს ჩვენ შემოგვხვდებოდნენ ხოლმე პატივსაცემი კაცნი, უმეტესად ჩერქეზულს ტანისამოსში მორთულნი, თუმცა ბევრთ, უფრო მოხუცებულთ, ეცვათ ნამდვილი ქართული ტანისამოსი — მოკლე ჩოხა გრძელის გადმოყრილ ყურთმაჯებით, ტანისამოსი, რომელსაც ამსგავსებენ ძველებურს პოლშურს მორთულობას. ყველა მათგანი მოიხდიდა ასტრახანის ტყავის ფაფახს, დიდის პატივის-ცემით დაგვიკრავდა თავს და თანაც ქართველურად გვეტყოდა — «გამარჯობაო», რაზედაც ჩვენ ვუპასუხებდით — „გაგიმარჯოსო“. ეს სალამი თითქმის იმდენსავე ეუბნება კაცს, რისთქმაც შეუძლიან თორმეტს ტომს ისტორიულის თხზულებისას. ეს სიტყვები ერთხელაც არ მომისმენია ისე, რომ არ ჩავფიქრებულიყავ საქართველოს მწარესა, მაგრამ დიდებულს წარსულისათვის, როდესაც ქართველს ხალხს ხელში ეჭირა თავისი ბედ-იღბალი, დაუხმარებლივ, მარტოდ-მარტო ემსახურებოდა ქრისტეს და იმისს წმინდა ჯვარს წინააღმდეგ მაჰმადიანთა. საქართველოს წარსული ღვაწლი ისეთის ღირსებისაა, რომ შეუძლიან დაამშვენოს დიდება თვით რომისა და საბერძნეთისა.

„ღმერთმა მოგანიჭოს გამარჯვება, გულადო საქართველოვ!“

გთხოვ, ჩემო მკითხველო, მიაქციო ყურადღება ამ პატარა ადგილს ბ-ნ უორდროპის წიგნისას. მაშინ-როდესაც უცხოელი მცოდნე კაცი ამ ორის სიტყვის დედა-აზრიდამ ჰხედავს ღირსებას ჩვენის წარსულისას, აფასებს ჩვენს დიდებას, ჩვენს კულტურას, ამ დროს გამოდიან მოედანზე ჩვენი საკუთარი შვილები და გაიძახიან, რომ ჩვენ არავითარი აზრი არა გვქონია წარსულში, არ გვიმუშავნია ჩვენის წარმატებისათვის და არავითარი ისტორიული მნიშვნელობა არა გვქონია არც ჩვენთვის და არც სხვისთვისაო. რას იტყვით ამათთანა უცნაურს მეცნიერებზე?!

სანო

რომელნიც ანს ბანისაგან ვერ არჩევენ. საქმე იმაში გახლავსთ, რომ ედისონს გამოუგონია „მოლაპარაკე გაზეთი“. თუმცა ეს ამბავი ადამიანის ყურს მეტად ეუცხოვება და არა სწამს, არა სჯერა, მაგრამ, თუ ამერიკის გაზეთებს დავუჯერეთ, ამერიკის ზოგიერთ მკვიდრთ უკვე შეუდგენიათ კიდეც ამხანაგობა ამ საქმის საწარმოებლად. ამ ამხანაგობას ეწოდება „Edison Talkins News-paper Company“. ეს «მოლაპარაკე გაზეთი» სასარგებლო იქნება არა მარტო იმათთვის, რომელთაც კითხვა არ იციან, არამედ იმათთვისაც, რომელნიც ან დაუსინათლოებულან და ან არ უნდათ კითხვით თვალები გაიწყალონ. როგორ უნ და ილაპარაკოს ახლა ამ გაზეთმა? ედისონს ამისთვის თავისი ფონოგრაფი მოუწყვია და მოუმართავს. საკმარისია, რომ ფონოგრაფში გაზეთი ჩასდოთ და იგი თითონვე წაიკითხავს ხმა-მაღლა ყველაფერს, რაც-კი გაზეთში სწერია. ეს გაზეთი დილაობით დაურიგდება თურმე ხელის მომწერლებს.

— აქამდე ამბობდნენ, რომ სტენლი ამერიკელიაო. „Times“-ს გამოუძიებია, რომ სტენლი, ამერიკელი-კი არა, ინგლისელია და აღზრდილია ინგლისის ერთს ღარიბს ოჯახშიო. ნამდვილი გვარი სტენლისა ოვენია. იგი ბავშვობაშივე გადასახლებულა ამერიკას, სადაც ერთს მდიდარსა და შეძლებულს ქალს შვილად აუყვანია. მას შემდეგ იგი თავისის დედობილის გვარს—სტენლის ატარებს თურმე.

— ლონდონში გარდაიცვალა ერთი განათლებული და ახირებული კაცი ინგლისისა, 70 წლის მწერალი ალითვანტი. პირველში ამ კაცს უმოგზაურნია ცეილონს, სადაც იმისი მამა მოსამართლე და ყოფილა, აზიას, იტალიას, კანადას, სევასტოპოლს, მონაწილეობა მიუღია ინდოეთის ბრძოლაში და იაპონიაც დაუთვალიერებია. შემდეგ პარლამენტში უმოღვაწნია 1865—1868 წლამდე. ბოლოს სპირიტობა დაუწყია და აღმოსავლეთის ასკეტიზმის გამოსაცდელად რამდენისამე წლის განმავლობაში მოსამსახურობა უკისრნია. ცოლის გარდაცვალების შემდეგ წასულა პალესტინაში და ოცნება დაუწყია, რომ ებრაელთა ახალ-შენი გაიმართოსო.

— ამ ჟამად ფლორენციის ერთს სასამართლოში მეტად საყურადღებო საქმე ირჩევა თურმე. ეს საჩივარი დაუწყია სამხეცოს პატრონს, რომელიც უჩივის თავისს ცოლს, რომ მიღალატა და ცოლქმრული ერთგულება დაარღვიაო. ამ კაცის, გვარად გრენიეს, ცოლი, ნუმა გავა, განთქმული მხეცთა დამამშვიდებელია და მეტად ლამაზი ქალიც. ამ ქალს სამჯერ შეურთავს ქმარი, სამივეს გაჰყრია და შემდეგ შეკავშირებულა გრენიესთან, რომელსაც დიდი შეძლება და მამული ჰქონია. ახლად ჯვარ დაწერილებს ეს მამული გაუყიდნიათ და შეუძენიათ უშველებელი სამხეცო, რომელშიაც ქალი საკვირველს ოინებს სჩადიოდა თურმე. სამხეცო პირველად პარიჟში ჰქონიათ, შემდეგ-კი მთელს საფრანგეთში დაუწყიათ მოგზაურობა ნუმას თავისის ქმრითა და მხეცებით. ქალს ხელებზე ჭრილობები აქვს ლომისა და გულზედ ბევრი ორდენი და მენდალი ჰკიდია. ამ საოცარს დედაკაცს ქმარი ბრალსა სდებს, რომ შენს მდივანსა ჰყვარობ, ვიღაც გერმანელს ბლიუხერსაო. უმაწვილი ქალი და მდივანი ჰქრილობენ თურმე ამ ბრალს და უარს არიან. ქონდრის-კაცა ბლიუხერს რომ შეჰხედოს კაცმაო, ამბობენ საფრანგეთის გაზეთები, ძნელად წარმოსადგენიც არის, რომ ამისთანა საოცარს ქალს ის შეჰყვარებოდაო.

## დეპეშა

30 დეკემბერი

პარიჟი. ბულანჟეს ამორჩევა პარიჟის დეპუტატად, რესპუბლიკელთა შორის ატეხილ უსიამოვნების გამო, შესაძლებელია.

ცეტინიე. მთავრის ასულნი მილიცა და ანასტასია წავიდნენ პეტერბურგს, მინისტრის პეტროვიჩის თანახლებით.

ლონდონი. ბანკმა დასწია დისკონტი 5-დგან 4%-მდე.

პარიჟი. ბანკმა დასწია დისკონტი $4^1/_2$-დგან 4%-მდე.

პეტერბურგის ბირჟა, 27 დეკემბ.

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გაყიდულნი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 59 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 150 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 14 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | $273^1/_4$ | |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 246 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | 97 | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | 97 | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 82 | „ | — | „ | — | „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
დეკემბერი 31 დღით არის.

31 დღე შაბათი. წმ. მელანია რომაელისა. კათოლ. წმ. სილიბისტროსი და ვალენტინასი. მაჰმად. მე-10 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—51. მთვარე 11 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | $3^1/_2$ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1881 წლის 17 თებერვალს დამტკიცებულ წესდების მე-15 § ის ძალით 4 თებერვალს 1889 წლისას, დილის 12 საათზედ, ქ. ტფილისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა განუმეორებლად ქვემო ხსენებულის მამულისა, ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახადთ შემოუტანლობის გამო, მე 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

წერეთლისა, ანასტასია დავითის ასულისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამ-განყოფილებიანის სარდაფით და ერთ სართულიანი მიშენებული სარდაფითვე. ზომა მიწისა 330 ოთხ-კუთხიანი საჟენი. ტფილისს, ავჭალის ქუჩაზედ. თავნი ვალი 5281 მან. 98 კაპ. შემოსატანი 267 მან. 58 კაპ. სულ 5549 მან. 56 კაპ.

ვაჭრობა, წესდების მე-18 §-ის ძალით, დაიწყება ზემოხსენებულ ვალის ჯამით, რომელზედაც ზედ მივა დარჩენილი ფული სახელმწიფო და საერო (земскій) გარდასახადისა. თავნის ვალის გადაწყვეტა შეიძლება ბანკის გირაოს ფურცლებით მანეთით მანეთზედ; აგრეთვე შეიძლება ბანკის ვალი გადაიდეს მამულის მყიდველზედ. შემოსატანი ფული და ძველი დარჩენილი (недоимка) უნდა შევსებულ იქმნას ნაღდის ფულით.

მე-16 §-ის თანხმად, მოვალეს შეუძლიან დარჩენილი ფული სარგებლითა და სხვა ხარჯის შევსებით შემოიტანოს ერთის დღის წინად ვაჭრობამდე.

სავაჭრო საკომისიო კონტორა და მოსკოვის სააუქციონო დარბაზი

### ა. ი. სილინისა.

მთავრობისაგან ნება-დართულია.

მოსკოვი, ილინიის ქუჩა, სოლოდოვნიკოვების ქარვასლა.

ყოველ დღე გამოფენაა და გასყიდვა თავისუფალ საჯარო ვაჭრობით შემთხვევითის საქონლისა და ნივთებისა;

ვიღებთ კომისიით სხვა-და-სხვა მოძრავ საქონელს;

საწყობები გვაქვს საქონლის შესანახავად. მთელი ეს აღებ-მიცემობა უზრუნველ-ყოფილია წინდით. (3—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვეით | 10 მ.—კ. | 6 თვეით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 › | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 › | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 › | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 › | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 › | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

### იაფად გასყიდვა საქონლისა

მხოლოდ ახალ-წლამდე

ცენტრალურს საგალანტერეიო მაღაზიაში

ერევნის მოედანი, სახლი ზუბალოვისა, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეიო საქონელი და ოჯახთათვის საჭირო ნივთები: ლამპრები, ფარნები, მელხიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ჭურჭელი, სუფრის სამკაული და ნავთით საჭმლის მოსახარშავი, აგრეთვე საცვალი, ფუფეიკები, ჩულქები, ხელსახოცები, სუფრები, სალფეტკები, ფეხთ-საცმელი, შლიაპები, კორსეტები, კასინკები, ქერსეები და სხვანი. ბევრია აგრეთვე ყმაწვილების სათამაშოები, თოჯები და ალბომები. (11—10)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1889 ГОДЪ

НА

### РУССКІЙ САТИРИЧЕСКІЙ ЛИСТОКЪ

Журналъ художественный, литературный и юмористическій.

**Программа журнала:**

I. Сатирическая хроника человѣческой жизни и ея явленій, имѣющихъ мѣсто какъ въ Россіи, такъ и заграницей.—II. Сатирическая литература: повѣсти, разсказы, сцены, пьесы, поэмы, стихотворенія и тому подобное.—III. Московскій листокъ: столичная жизнь и ея новости.—IV. Петербургскій листокъ.—V. Сатирическое обозрѣніе изящныхъ искусствъ: театръ, живопись, музыка и прочее.—VI. Сатирическая критика русской журналистики и литературы: краткіе переводы, рисунки и каррикатуры.—VII. Корреспонденціи и сообщенія. VIII. Смѣсь: шутки въ стихахъ и прозѣ, анекдоты, афоризмы, эпиграммы, пародіи, загадки, ребусы и т. д.—Сатирическіе и юмористическіе рисунки и каррикатуры русскихъ и иностранныхъ художниковъ.—X. Объявленія.

Выходитъ еженедѣльно, въ количествѣ 52 №№ въ годъ.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

на годъ—7 руб., съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи—8 руб., на полгода безъ доставки—4 руб., съ пересылкой и доставкой—5 руб.

Плата за помѣщеніе объявленій за 1 разъ 25 коп. за строчку петита въ одинъ столбецъ. За различныя украшенія и рисунки къ объявленіямъ плата полагается по соглашенію.

**Отдѣльные №№ 15 копѣекъ**

Иногородніе подписчики адресуются исключительно въ контору редакціи: Тверской бульваръ, домъ священника Булгакова.

Редакторъ-издатель Н. Н. Соѣдовъ.